



# სახალხო საქმე

გამოცემა უცხოეთში მყოფ ხელ.-ფედერ.—ბის კომიტეტისა.

1927 წ. თებერვალი.

რვეული მეორე.



მძიმე პირობები

და მძიმე მოვალეობა.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა საშინელია, გამოუთქმელი. ძირიან-ფესვიანად ამოფხვრა ყოველგვარ თავისუფლებისა, სრული გათელვა ეროვნულ უფლების, ქონებრივი გალატაკება და დაბეჩავება, სასტიკი დევნა აზრის და შეგნების, აბსოლუტური უარყოფა შემოქმედების და აქტივობის—ეს ერთი მხარეა იმ აუტანელ პირობებისა, რომლებიც შექმნეს მოძალადე ბოლშევიკებმა ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ არის მეორე მხარე—უფრო უარესი: ადამიანის პიროვნების გათახსირება, ადამიანური ღირსების მოკვლა, უზნეობა, გარყვნილება, გამცემლობა, ღალატი, სინდისის უკუგდება და მოსპობა ყველაფრის იმის, რაც შეადგენს ადამიანის საუკეთესო სულიერ თვისებას, და რასაც მოსკოველმა ველურებმა გამოუცხადეს საჯვაროსნო ომი. ბოლშევიზმის დამახასიათებელია სწორედ ის, რომ ვერ ეგუება ადამიანს, როგორც ცოცხალს, სულიერ არსებას მრავალფეროვანის მოთხოვნილებით და მისწრაფებით და ვერც ეროვნებას, ერს, სადაც ადამიანი კპოებს ყველაზე უფრო ხელსაყრელ თავშესაფარს და ვითარებას თავის თვითმოქმედებისა და თავისებურობის გამოსაცხადებლად. ბოლშევიზმის მიზანია არა გამაგრება და ამაღლება ადამიანობისა ადამიანში, არამედ მისი დაცემა, დამდამბლება, პირუტყვობის გაღვიძება და გაძლიერება ადამიანში. ცრუმორწმუნეობაა ადამიანი, სინამდვილეა პირუტყვი. ზღაპარია ერი, არის მხოლოდ ჯოჯი—ი საგანი ბოლშევიკური წყობილებისა და საქმიანობის. ამის განსახორციელებლად არის მიმართული ყოვლის უწინარეს ბოლშევიკების უძლიერესი იარაღი—იშვიათის მოხერხებით მო-

წყობილი ჩეკა, რომელთანაც მოსატანი არაა აღმოსავლეთის არც ერთი დესპოტიის ჯალათობა, დასავლეთის არც ერთი ინკვიზიცია.

ამისთანა პირობებში, რასაკვირველია, მეტად მძიმეა პოლიტიკური მუშაობა. მძიმეა და დიდი ის უბედურება, რომელიც აწევს და ახრჩობს ერს, და დიდია ის ტლანქი ძალა, რომელიც უსპობს ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ყოველი მოძრაობის და მოქმედების საშუალებას. ძნელია ამ მდგომარეობაში მტკიცე განზრახვის და ენერგიის შენარჩუნება, ხალხის და სიმხნევის არდაკარგვა, ზნეობრივი მთელობის დაცვა. ყოველშრივ დაბრკოლებულია თანამოაზრეთა ურთიერთობის შექმნა, საერთო გეგმის შეკვრა და განხორციელება, აზრთა და საქმეთა გაერთიანება—ერთი სიტყვით პოლიტიკური ეროვნული მოღვაწეობის გამოჩენა დღეს საქართველოში უკიდურესობამდე არის გაძნელებული, დევნილი, შებოროტილ-შეზღუდული...

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ერთს წუთსაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ რამდენად მძიმეა მდგომარეობა და ძნელია მუშაობა, იმდენად მძიმეა მოვალეობა და პასუხისმგებლობა ყოველი პოლიტიკური პარტიისა როგორც ხალხის ისე თავის რწმენის და სინდისის წინაშე. არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ერისათვის ისე საჭირო პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მზრუნველობა, როგორც დღეს ამ უდიდეს გაჭირვებაში. მისთვის მეტად ძვირფასია დღეს ყოველი თბილი სიტყვა და ნუგეში, გზის გაშუქება, იმედის განმტკიცება, სწორი აზრის და შეხედულების მოწოდება. არასდროს დაივიწყებს ხალხი იმათ, ვინც დღეს ოდნავადაც არის შეუმსუბუქებს მდგომარეობის სიმძიმეს და მცირე მალამოს მაინც დასდებს მის იარებს და ტკივილებს. ძმა ძმისთვისო—შავ დღისთვისო, სწორედ ზე გამოჭრილია ჩვენს აწინდელ პირობებზე: პარტია განა ძმა არაა ერის, ხალხის? და როდის, თუ არა დღეს, უნდა გაუწიოს მას ერთგულება, ჭეშმარიტი სამსახური და დაუმტკიცოს თავისი გულითადი სიყვარული?

მძიმეა ვითარება, ერი წყვდიადშია სულშეხუთული და მისი ტანჯვა თითქმის განუზომელია. ხოლო ასეთ დროს სულ პატარა შუქიც, სულ მცირეს გაკეთებაც დიდი საქმეა და წარუშლელს კვალს დასტოვებს ხალხის ცხოვრებაში. ყოველდღიურ ცოტ-ცოტათი მუშაობით ბევრი გაკეთდება, ცალი ცალს მიემატება, ნაჭერი ნაჭერს, ნატეხი ნატეხს და თანდათან აშენდება ერის ტაძარი, შეიქმნება ის სულიერი სიმძლავრე,

რომელიც დღევანდელ სიმწარესაც აგვატანიებს და მოგვცემს უმტკიცეს საფუძველს დაკარგულ თავისუფლების აღსადგენად.

ვისაც უყვარს ხალხი, ვისიც ბედი განუყოფელია ერის ბედისაგან და სწადია თავის ერთან იყოს მომავალშიაც, უნდა გამოიჩინოს დღეს არაჩვეულებრივი სიმხნევე და უნარი მუშაობისა. მოქმედება და არა მოდუნება, რწმენა და არა უიმედობა, გარკვეული სვლა განთავისუფლებისაკენ და არა შეჩერება, შეკავშირება და გაერთიანება ძალებისა და არა ცალკე ყოფნა აზრის გაუნაყოფიერებლად—აი რა უნდა იდგეს მუდამ ჩვენს წინ, რა უნდა იყოს სადღეისო ჩვენი ღონეულები.

გავლენ წლები კირთებისა, დადგება დრო თავისუფლებისა, ქართველი ერი კვლავ ერი იქნება! ეს უნდა ვუთხრათ დღეს ქართველ ხალხს, როგორც ვუთხარით ამ ოც და ხუთი წლის წინად, უნდა ვუთხრათ მეტის ხალისით, რადგან ჩვენი სამარადო განთავისუფლება არ ყოფილა მაშინ ისე აუცილებელი და გარდაუვალი, როგორც დღეს: მაშინ ჩვენ ვეძებდით ხალხს ეროვნული სიტყვის მისაწოდებლად, დღეს ქართველი ხილხი თვითონ დაეძებს იმათ, ვინც მოუწოდებს მას ბრძოლისათვის თავის ეროვნების დასაცავად და საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.

დღეს ქართველ ხალხს ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა, თავისი პოლიტიკური და კულტურული განვითარება, თავისი ეკონომიურ-სოციალური ცხოვრების გაუმჯობესება გარეშე ეროვნული თავისუფლებისა.

ვიყოთ ხალხთან დღესაც, ვიყოთ ხალხის წინამძღოლები ამ დიად საქმეში!

## 25 წელი ქართულ კულტურის საღატაჯღონედ.

რუსული ტალღის შემოჭრის შემდეგ, რომელმაც ეროვნულ მონობასთან ერთად რუსული კულტურაც თავს მოგვახვია, ყველაზე უფრო მტკიცე ბრძოლა ამ კულტურის ხელახლა გაქართულებისათვის ამ უკანასკნელ 25 წლის მანძილზედ ხდებოდა.

შემთხვევითი არ იყო, რასაკვირველია, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია კულტურის გაქართულების საქმეს სათავეში მოექცა. მას სურდა ქართველ ხალხის დარაზნვა—მისი მომავალის საკუთარ ისტორიულ წარსულ-

ზედ დამყნა. ჩვენ, როგორც ეროვნული პარტია, რა თქმა უნდა, ვერ მივუდგებოდით ჩვენს ხალხს უცხო ენით, ტრადიციით, კულტურით. და ჩვენს გლახობასაც საბედნიეროდ ისე ძლიერად არ გაჰკვროდა ამ უცხო კულტურის სალაშინი; ქართველ ინტელიგენციის უმრავლესობა კი თითქმის გადაგვარებული იყო,—მას აკლდა რწმენა, რომ საკუთარ ძველ კულტურის საფუძველზედ რაიმე ახალის დამყნა შეიძლებოდა. მისი აზრით ეს ისტორიულ მსვლელობის წინ გადაღობვა და რეაქცია იქმნებოდა.

ჩვენ ამან ვერ შეგვაშინა და რაკი ერთხელ ჩვენი ასპარეზი საქართველოს საზღვრებით შემოვფარგლეთ, სწორედ ამ საზღვრებში დავიწყეთ ეროვნულ კულტურის ელემენტების ძიება.

საშინლად გაპარტახებული მემკვიდრეობა გვცვდა წილად ამ დარგში. რუსეთმა გასაოცარის მეთოდური სისწრაფით მოსპო არა მარტო უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი ნიშანი, არამედ ჩაჰკლა ყოველნაირი გამოახილი ქართულის სულისა. ეროვნული ენერგია მოღუწებული იყო და საკუთარის ძალით ფეხზედ დადგომის ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. და ჩვენმა ინტელიგენციამ თვითონ დაიწყო რუსულ მზა კულტურის ფართო ტალღით შემოშვება. მოიშალა ქართული ოჯახიც კი.

მაგრამ ჩვენი შემეცნება ამას ერთის წუთითაც კი ვერ ურიგდებოდა, რადგან ჩვენთვის ყოველი კულტურული პროგრესი ყველაზედ უწინ შემოქმედება იყო, ხოლო ყოველი შემოქმედება მაშინაა ასეთი, თუ ის თავისებურ—ინდივიდუალურია (პიროვნული, ეროვნული). ფუქია შემოქმედებაზედ ლაპარაკი იქ, საცა მზა უცხო კულტურას ითვისებთ; ასეთი შესმა სხვისი კულტურისა მეობას ჰკლავს და ყოველგვარ თვითმოქმედებას ახშობს. ამის საუკეთესო დასურათებას იძლევა კომუნისტების «საქმიანობა» დღევანდელ საქართველოში: იქ სიტყვა, აზრი, მოქმედება «გადმოცემულია ტელეგრაფით», ამიტომ ყოველგვარი წინსვლა შეჩერებულია, ეროვნული «მეობა» სავსებით ჩაკლულია. ამიტომაც რომ საქართველოში ბოლშევიზმი უფრო საშინელ ბოროტებად იქცა და მას ხალხი არას დროს არ შეურიგდება, თუნდაც კიდევ დადგეს ფიზიკურ განადგურების საფრთხის წინაშე. ეს ლოდიკური გაგრძელებაა ქართველი ერის საუკუნოებრივ ბრძოლისა რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ გადავიდეთ ისევ წარსულზე: რადგან ჩვენ პროგრე-

სი, სულიერი და ეკონომიური კეთილდღეობა, სოციალიზმი ჩვენი ხალხისათვის გვინდოდა, ამიტომ ყველაზედ უწინ გაქრობის საფრთხიდან უნდა გადაგვერჩინა სწორედ ის, რაც ჩვენი—ქართული იყო.

ჩვენ მიერ წამოყენებული ტფილისის გაეროვნების და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის საკითხი გზა, საშუალება იყო საქართველოს ეროვნულ სხეულის გადასარჩენად, რასაც უნდა სრული სუვერენობის აღდგენა მოჰყოლოდა. ავტონომიას უნდა მოემზადებინა და გაეჯანსაღებინა ელემენტები ქართულ სახელმწიფოებრიობისა. მაშასადამე, ბრძოლა ავტონომიისათვის უკვე პრაქტიკული მიდგომა იყო ეროვნულ სახელმწიფოს შესაქმნელად.

ამ ბრძოლამ მრავალი სადღეისო, პრაქტიკული საკითხი დაგვისვა; მაგრამ ეს ჩვენი პრაქტიკული საქმიანობა—ქართულ კულტურის სადღეისო საკითხებზე ზრუნვა—მაშინ დანარჩენებს უმნიშვნელოდ მიაჩნდათ: აბა ვის დაინტერესებდა იმ დროს ქართულ ენაზე, სკოლაზე და თეატრზე ლაპარაკი, როცა რუსეთის საერთო მოძრაობას უკვე მზა სოციალიზმი უნდა მოეტანა ჩვენთვის?

ჩვენ ამან მაიც არ შეგვაჩერა და გეზი არ შეგვაცვლევინა. ჩვენი ფრანტი ქართულ კულტურის დანგრეულ კერასთან გაიშალა და ჩვენ შევეცადეთ რწმენის გაღვივებას, რომ შეიძლებოდა ძველის განახლება, რომ მასზე ახალის დამყნა მოსახერხებელი და აუცილებელიც იყო. შემფოთებული რუსეთის მთავრობა უწყალოდ გვდევნიდა, ბევრი ქართველი ინტელიგენტი კი ურწმუნოდ უცქეროდა, ამასხარავებდა და ცუდ სოციალისტობაში გვართმევდა ჩვენს «წვრილ» საქმიანობას. მაგრამ რაკი ერთხელ აღებული მიზანი—ეროვნების აღდგენით სოციალიზმისაკენ—მტკიცედ გვქონდა შეთვისებული, არ შევდექით და თითო ნაბიჯით მივიწვედით წინ, თვითოეული ქვა ეროვნულ ორგანიზმის გასამთელებლად მიგვქონდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ «წვრილ» ფაქტორებზედ უნდა აღმოცენებულიყო საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრიობა.

რათა ჩვენი მოქმედების ასპარეზი შემოგვეფარგლა, პირველ რიგშიდ საქართველოს ტერიტორიის საკითხი დავაყენეთ და ეს გახდა სხვათა შორის ეროვნულ კულტურულ მოღვაწეობის საძირკვლადაც. მაგრამ ეს მოვლენა თავის თავად საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხს სვამდა.

ჩვენის ცზავრების ყოველი მოვლენა ქართულის ინტერესით და მიდგომით გვიჩინავდა. და ამ რიგად ჩვენ ვრახმავდით

ქართულ მოწინავე საზოგადოებას ამა თუ იმ ქართულ პრაქტიკულ და კულტურულ საქმისათვის.

ქართული ენა, ქართული სკოლა, უნივერსიტეტი, თეატრი, მწერლობა, სიძველენი, ისტორია... მეორეს მხრით ქართული საკრედიტო ამხ. კოოპერატივები, საპროფესიო ორგანიზაციები, აი ქართულ სინამდვილის და კულტურის მაშინდელი გასაქანი და ჩვენც ამ დარგებს შევესიეთ. ვიწრო და ყოველმხრივ შეზღუდული იყო მაშინ ჩვენი მოქმედების ასპარეზი: თვითმართველობათა ზოგი ორგანოები, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიკული საზოგადოება, სიტყვა კანშიულ მწერლობის საზოგადოება და სხვანი, აი ეს და იყო ქართულ კულტურის გადანარჩენი და ჩვენაც აქედან ვცდილობდით ქართულ ახალ ძალების და ფაქტორების გამოჭედვას.

ჩვენმა მოღვაწეობამ ყინული ნელ-ნელა გააღებო და რწმენა დაბადა. ესლა უკვე სასაცილო აღარ იყო ქართული ენა, მწერლობა, მთელი წარსული. ქართველ ინტელიგენციას ქართველობის აღარა რცხვენოდა. ინტერესი ჩვენი წარსულისადმი ერთბაშად გაიზარდა და ამან მიძინებული, პოტენციალური ძალა ააღაპარაკა. ჩვენ გავაძლიერეთ და შევკმენით დაწესებულებანი, რომელნიც ქართულ ინდივიდუალურ კულტურის გზას ჰკაფავდენ, და როდესაც ვებერთელა რუსეთის იმპერია ერთბაშად დაინგრა და «ჩვენი თავი ჩვენვე უნვე უნდა გვეყუნოს» საკითხი პრაქტიკულად დადგა, მაშინ ყოველი მიხვდა, რომ ახალის ასაშენებელი საფუძველი შეიძლებოდა მარტო ქართული კერა ყოფილიყო.

მცისვე ის პატარა ეროვნულ-კულტურული აპარატები, რასაც ჩვენ დარაჯად ვუდექით, გაიშალენ და სახელმწიფოებრიობის ელემენტების სახე მიიღეს, ქართულ მეობას, მის კულტურას უკვე შესაფერი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოებული და ამან დააჩქარა 26 მაისის აქტი. სწორედ ის, რაც ჩვენს ნაკლად მიაჩნდათ—ეროვნული «ეგოიზმი», შეიქმნა ქვაკუთხედი ქართულ სახელმწიფოებრიობის უახლოესი ტრადიციისა. ჩვენ არ შეგვიქმნია ეს ქართული კულტურა—ის ჩვენს წინაპრებს მტკიცედ და საუკუნოებით უშენებიათ. მაგრამ ჩვენ ამ კულტურასთან დავდექით და როცა უმძიმეს ხანაში რუსული ძალა მას წალეკას უქადდა, მის გადასარჩენად და შესანახად ვიბრძოდით.

დღეს 26 მაისს შავი ზეწარი გადაეფარა, მაგრამ ქართულ მეობის სადარაჯოზედ ესლა ჩვენთან ერთად მთელი ქართული

ძალგებია დარაზმული. მალე ჩვენი ერის გაერთიანებული ძალა ამ ზეწარს გადახვეს, თავისუფლების დროშას ისევ ააფრიალებს. და მაშინ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ რა ძნელი იყო ამ 25 წლის წინად მივიწყებულ და დანგრეულ ქართულ კერასთან გამაგრება.

ქართულ კულტურის წინ სვლა დროებით შეჩერდა. მაგრამ ეს მისდამი რწმენას არ გვინელებს და—ავალებს ჩვენს პარტიას ეს ინტერვალის ქართველ ერთან ერთად გაასკეცებულის ენერგიით მალე ამოავსოს, რომ ამით ქართველ ერს საკაცობრიო კულტურის ოჯახში მალე ღირსეული ადგილი მიენიჭოს.

სა—ფარო.

### წარსული და მომავალი.

წარსულის და მომავლის, დღევანდელის და ხვალინდელის ურთიერთობა საზოგადოებრივობის ერთი უდიდეს საკითხთაგანია. ამის სწორ შეფასებას და შეგნებას ფრიადი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იდეურ სფეროში, აგრე ვსთქვათ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობისთვის, არამედ კიდევ უმეტესად პრაქტიკულ მუშაობის, ტაქტიკის გასარკვევად და გასათვალისწინებლად. უამისოთ შეუძლებელია საქმიანობა, რა დარგშიაც უნდა იყოს, პოლიტიკურში თუ სოციალურში, კულტურულსა თუ მორალურში.

ჩვენ ვმუშაობთ, გვინდა აწინდელი ვითარების შეცვლა, გადაკეთება, გვინდა განვითარება. მაგრამ რა არის განვითარება? არის იგი სრული უარყოფა იმის, რაც არსებობს? ჰქმნის სრულიად ახალს საჭიროებას და მოთხოვნილებას, ახალს საშუალებას და წყობილებას; ახალ ადამიანებს და ახალს ურთიერთობას სრულებით? საჭიროა, კარგად ჩაუვკვირდეთ სინამდვილეს და სახელწოდების და სიტყვების ბურუსში ნათლად გავარჩიოთ მოვლენათა არსება. გარეგნობა და შინაბუნება ერთი არაა და უაღრფთოვანესი ალტყინება და ოცნება ისევ უბრუნდება რეალობას, რომელიც შეუძლია მხოლოდ შესცვალოს, გაზარდოს, განავითაროს, მაგრამ რომელსაც ვერასოდეს უკუაგდებს აბსოლუტურად.

კაცობრიობის გრძელი ისტორია გვასწავლის: საზოგადოებრივი ამბები ხდება განსაზღვრულ გეოგრაფიულ და ისტორიულ პირობებში და მათი შემსრულებელნი არიან ადამიან-

ნები თავის განსაზღვრულ ფსიქო-ფიზიოლოგიურ აგებულებით. რაც უნდა მაღალი და დიადი იყოს საზოგადოებრივი იდეალი, მისი სარბიელი ყოველთვის შემოფარგლულია ამ პირობებით. ადამიანთა ცხოვრება და მოქმედება ემყარება ბუნებრივს თვისებებს, მოთხოვნილებებს და მისწრაფებებს, რომელთა გადალახვა და გვერდის აქცევა ყოვლად მოუხერხებელია. ყოველი ცვლილება და რეფორმა უნდა შეუთანხმდეს და შეეგუოს ამას, არ უნდა დაშორდეს ძლიერ, უნდა გაიზალოს და გაფართოვდეს ამაზე აღმოცენებული.

საზოგადოების განვითარებაში «ახალი», სრულიად «ახალი» არა არის რა. ისტორიაში არ ყოფილა რევოლუცია, თუნდაც უძლიერესი, რომელსაც «ძველი» ამოეფხვრას ძირიან-ფესვიანად და მის მაგიერ სრულიად «ახალი» აეგოს. «ახალი» ყოველთვის «ძველის» შესწორებაა, «ძველის» საფუძველზე ანაგებია. ისტორიაში ყველაფერს თავისი აზრი და გამართლება აქვს და «უძველესს» და «უახლესს» ხშირად დიდი მსგავსება აქვთ ერთმანეთთან. რასაკვირველია, ქვეყანა ვითარდება, წინ მიდის. უმჯობესდება, მაგრამ უნდა გვექონდეს უნარი, შევაფასოთ წარსულის კარგი და არ უარვყოთ ხელალებით გუშინდელი მხოლოდ იმიტომ, რომ ის გუშინდელია, როგორც მომავალიც ვერ უკუაგდება ყველაფერს დღევანდელს.

ეს ისტორიული თვალსაზრისი დაედვა საფუძველად ჩვენი პარტიის დაარსებას და ეს ახასიათებდა მუდამ მის მოღვაწეობას. მართალია, ჩვენც არ აგვცდა, როგორც ყველა პარტიას საქართველოში, გატაცება სიტყვიერი რევოლუციონერობის, მაგრამ საერთოდ მაინც არ ვშორდებოდით სინამდვილეს, ჩვენს ისტორიას, კულტურას და მას ვუგუებდით ჩვენს პროგრამას და ტაქტიკას. იმის შემდეგ რაც ვნახეთ და განვიცადეთ უკანასკნელ წლებში, კიდევ უფრო უნდა განვიმტკიცოთ იმის შეგნებით, რომ პოლიტიკური პარტია არაა მოწოდებული დემაგოგიისა, ლამაზი გეგმებისა და მოქარგული სიტყვებისათვის, არამედ აწინდელი ცხოვრების გასაუკეთებელ მოქმედებისათვის, რაიც მოითხოვს ამ ცხოვრების შეცნობას და საქმეს შეთვისებულს.

ჩვენი პარტია არის ეროვნული—მისთვის ეროვნების დაცვა, ერის სრული თავისუფლება აუცილებელი პირობაა განვითარებისა, ამის საფუძველზე არა ერთხელ გვექონია ლაპარაკი, ეს განუკვეთელია ჩვენი საერთო მსოფლმხედველობისაგან. ასე უყურებენ მდგომარეობას ევროპის სოციალისტები, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ თავისი მუშაობა გარეშე



თავის ერის თავისუფლებისა, მისი ისტორიის, კულტურის. ისინი სთვლიან თავის თავს სამშობლოს დვიძლ შვილებად, მთელი მისი წარსულის მემკვიდრეებად და ეროვნულ შემოქმედების ჭეშმარიტ გამგრძელებლებლად. ისინი არ ამბობენ, რომ რაც იყო და რაც არის დღეს მათი ერის ცხოვრებაში, ეს მათვის აღარ იარსებებს სრულიად. პირიქით ღრმად აფასებენ გარდასულ თაობათა მოღვაწეობას ეროვნულ-ისტორიულ პრაქტესში და თავის მიზნად ისახავენ უკვე გაკეთებულის გაზრდას და გაფართოებას. რაც მაკდონალდმა სთქვა—ჩვენ, მუშათა პარტია ვითვისებთ ბევრს რასმე სახარებიდან, ჩვენ ვსარგებლობთ ლიბერალების ბევრს შეხედულებას—ამას იზიარებს დღეს ყოველი ევროპიელი სოციალისტი, რომელსაც სწამს განვითარების მემკვიდრეობა და სრულიად არ წააგავს იმ მოსკოველ ბოლშევიკს, რომელიც უარყოფს წმინდა მეცნიერებასაც, როგორც «ბურჟუაზიულს».

უნდა ვადგეთ მტკიცედ ამავე გზას ეკონომიურ-სოციალურ მუშაობაში. მოსკოველმა მოძალადეებმა ბევრი სისაძაგლე აგემეს ჩვენს ხალხს ვითომდა სოციალისტურის სახელით და ამის შემდეგ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო და დაკვირვება. ჩვენ ოდნავადაც ვერ გავყვებით იმათ კვალს, რომელთაც პლაკატებით და ყოველგვარის ძალმომრეობით, არსებული კულტურის დაქცევით სწადიათ ქვეყნის ცხოვნება. ცხოვრების სიდუხჭირე არ შეიცვლება იმით, რომ მოვლენებს სახელები გამოვუცვალათ. სიბოროტე არ მოისპობა ბრძანებით და ადამიანები არ გაბედნიერდებიან «მუშათა და გლეხთა დიქტატურის» გამოცხადებით. ბოლშევიკების ათი წლის პრაქტიკა გვასწავლის, თუ როგორ არ უნდა ვიმოქმედოთ. მოწინავე ევროპის გამოცდილება კი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. დასავლეთის სწავლება და მაგალითი უნდა იყოს ჩვენი ხელმძღვანელი, და არა მოსკოველთა ველურობა. აქედანაა სინათლე და არა აზიიდან თუ ევრაზიიდან.

ინგლისის მუშათა მოძრაობის ერთი მესვეურთაგანი სნოუდენი ამბობს: ახალი წესი შეიძლება მოეწყოს მხოლოდ განათლებულის დემოკრატიის თანხმობით და თანამშრომლობით. უაზრობაა, ვითომც შეიარაღებულ აჯანყებით მოხერხდებოდეს კაპიტალისტური წესწყობილების მოსპობა; ძალით გარდაქმნის მომხრე ინგლისში მეტის მეტად მცირეა, ვინაიდან ინგლისის მუშები ტრადიციულად არიან აღზრდილნი კონსტიტუციური იდეებზე. მუშათა რევოლუციონურ მთავრობას არ ექნებოდა ცოდნა და გამოცდილება წარმოების მოსაწყო-

ბად. თუ ძირიანფესვიანად ამოვადგეთ დღევანდელი წესი, ჩვენ ამავე დროს მოვსპობთ ახალ ცხოვრების ჩანასახებსაც; ახალ-მა წყობილებამ თანდათან უნდა შესცვალოს და გარდაქმნას აწინდელი სისტემა. მეორე ლიდერის სიდნეი უების სიტყვით: იმაზე ადვილი არა არის, როგორც რევოლუციონური რეფორმების მანიფესტის გამოქვეყნება და შემოღება კანონების, რომელთა მიზანია შექმნა ახალი დედამიწის და ცის; მაგრამ ასევე ადვილად დარწმუნდებით, რომ მსგავსი სიტყვიერი რევოლუცია არავითარ პრაქტიკულ შედეგებს არ მოგცემთ.

გერმანელი სოციალისტების წარმომადგენელი ველსი აცხადებს: ჩვენ უნდა აღვზარდოთ მასა მოქმედებისათვის; პოლიტიკური აღზრდის შემწეობით უმრავლესობისაკენ, უმრავლესობით პოლიტიკურ ძალაუფლებისაკენ, უკანასკნელით კი სამეურნეო დემოკრატიისაკენ, სოციალიზმისაკენ. მეორე გამოჩენილი გერმანელი სოციალისტი გილფერდინგი გვეუბნება: მხოლოდ ხალხის დემოკრატიულ თვითმართველობას შეუძლია სოციალიზმის განხორციელება და კაცობრიობის ხსნა; ძალმომრეობის მეთოდით არ მოხდება საზოგადოების სოციალიზაცია, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობით და პროლეტარიატის აღზრდით, რომ შესძლოს წარმოების გამგებლობა.

საფრანგეთში ჟორჟის ლაპარაკობდა, რომ სოციალური რევოლუცია აუცილებლად იღებს ევოლუციის სახეს. მარსელ სანბა ასე განმარტავდა ჟორჟის სიტყვებს: საფრანგეთის მუშებისათვის არსებობს ერთად ერთი გზა: მუშაობა პოლიტიკურ სარბიელზე, მუშაობა სინდიკატებსა და კოოპერატივებში...

ეს რამდენიმე აზრი, ვფიქრობთ, საკმაოდ ასურათებს ევროპის სოციალისტური დემოკრატიის შეხედულებას, რომელიც გადაჭრით აღიარებს თავის მოქმედებაში ისტორიულ პრინციპს, განვითარების კანონებს და არ ფიქრობს, რომ ერთის დაკვრით, ურას ყვირილით შეიძლებოდეს ცხოვრების პირობების შეცვლა. ქვეყანა იცვლება, ხოლო შეცვლილში ყოველთვის არის ელემენტები ძველის და ვინც სრულიად უარყოფს ძველს, ვერასოდეს ააშენებს ახალს. სოციალური გარდაქმნა უშიძემსი და უძნელესი ამოცანაა ადამიანისთვის და მისი განხორციელება კატეგორიულად კვულისხმობს მალს პოლიტიკურს, კულტურულს, ხეობრივს მომზადებას და სათანადო ეკონომიურ ვითარებას. სოციალიზმი დაგვირგვინებაა მაღალის განვითარების და არასოდეს შეიძლება

იყოს ნაყოფი ველურობის, პოლიტიკურ-ეკონომიურის და მორალურ-გონებრივის სილატაკის.

სოციალურ დემოკრატიას, ისე როგორც პოლიტიკურს სჭირია განმტკიცება განვლილი კულტურულ გზების. წარსულს მოწყვეტილი იგი მარტო ჰაერში გამოკიდებული გეგმაა და თავის მოტყვილება. მხოლოდ წარსულის ფესვებზე შეიძლება ახალის აღმოცენება, ახალი უნდა დაემყაროს ყველაფერს იმას, რაც საღია, კარგია, რაც მწარე ოფლით მოუპოვებიათ გარდასულ თაობათ. მომავლის სიყვარული ბუნებრივად იწვევს წარსულის სიყვარულს, ვინაიდან რომ არ ყოფილიყო წარსულის შემოქმედება, არ იქნებოდა დღევანდელი, არ იქნებოდა ხვალისდელიც.

ხ. ფიშნაღვა.

### ძვირფას ამხანაგების ხსოვნას.

მეოთხედი საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხის ერთმა ჯგუფმა პოლიტიკური პარტიის სახით დაიწყო ბრძოლა საქართველოს გასანთავისუფლებლად.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ პირველად 25 წლის წინ ააფრიალა ეროვნულ-სოციალისტური დროშა და გამოვიდა საქართველოში ბრძოლის ასპარეზზე. ძვირფასი ბელადის არჩილ ჯორჯაძის მკვეთრმა კალამმა აღწარდა მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც გატაცებით შეუდგნენ დიდ ეროვნულ მოღვაწეობას.

25 წელი, რომელიც ჩვენმა პარტიამ ბრძოლით განვლო, განხილვის და შეფასების ღირსია, მაგრამ ამ წერილში ჩემს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით შევებო პარტიის ისტორიას ან შევაფასო იგი. მე მსურს მოვიგონო რამდენიმე მომენტი და ამ მომენტებთან დაკავშირებული ამხანაგები.

ჩვენი პარტიის ტრადიციებზე და პრინციპებზე აღიზარდა მთელი რიგი ახალგაზნდებისა, რომელთა საუკეთესო ნაწილი უკვე მსხვერპლად შეეწირა ქართველ ხალხს და მის კეთილდღეობას. და ის ვინც განიზრახავს თვალი გადაავლოს პარტიის განვლილ მუშაობას, გვერდს ვერ აუვლის იმ საყვარელ სახელებს, რომლებიც ღიმილით დაიწვეს სამშობლოს სამსხვერპლოზე. ასეთი მსხვერპლებია ისტორიის შემქნელი ერის და პარტიის ცხოვრებაში. თავგანწირულ მებრძოლთა მაგალითზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა.

ვინ იყვნენ ესენი?

მოვიგონებ და ჩამოვთვლი მხოლოდ იმ ამხანაგებს, რომელთაც პირადათ ვიცნობდი და მიხდებოდა მათ გვერდით მუშაობა.

დავიწყეთ 1917 წლიდან.

ყველას კარგად გვახსოვს ის სიხარული და ენთუზიაზმი, რომელიც გამოიწვია ქართველ ხალხში რუსეთის მოწარქიის დანგრევამ.

პოლიტიკური მოწოდების დანგრევის დღიდანვე პარტიები არალეგალობიდან ამკარად გამოდიან და რევოლუციის საქმეს ხელში იღებენ.

დადგა მომენტი ქართველი ერისათვის ეროვნული უფლებების აღსადგენად. საჭირო იყო, ხმა აღემაღლებინა თვით ხალხს და პირველი დღიდანვე, სანამ ჩამოყალიბდებოდა რუსეთის რევოლიუცია და მიიღებდა რაიმე გარკვეულ სახეს, ქართველ ერს გადაჭრით უნდა ეთქვა, თუ რა სურდა.

და ჩვენი პარტია, მიუხედავად ძლიერ რთული პირობებისა, მედგრად შეუდგა ამ საკითხის გაშუქებას და მოგვარებას. წამოიჭრა არა ნაკლები რთული საკითხი: საქართველოს წარღვნით ემუქრება დაშლილ ფრონტებიდან დაბრუნებული, ოთხი წლის ომით ნახევრად გაველურებული რუსის ჯარი.

მახსოვს ეს დღეები ბათუმში.

სასწრაფოთ შესდგა თავდაცვის რაზმები. ჩვენი პარტიის ბათუმის ორგანიზაციამაც შეადგინა პატარა რაზმი. მე მხვდა წილად მისი ხელმძღვანელობა. საჭირო იყო ძალით ჩაბარება ბათუმის ციხე-სიმაგრეების, რომელებსაც რუსის ჯარისკაცები ყოველ წუთში აფეთქებდნენ უპირობდენ. აუცილებელი იყო ქალაქის დაცვა ფრონტიდან მოზღვავებულ ჯარისაგან, რომელიც შეუდგა «პოგრომებს» და «ლინჩის» წესით გასამართლებას ქუჩებში.

ძლიერ მიმიძიდა ასეთ არევიანებაში რაზმის ხელმძღვანელობა, მაგრამ მამხნევებდენ ერთგული და გამოცდილი ამხანაგები, რომლებიც სიხარულით ჩაეწერნენ რაზმში.

აბა რა მქონდა საშიშო იქ, სადაც გვერდით მყავდა იშვიათი მხნე და გამბედავი ნი წლის მოხუცი, კატორღაში გაქაღარებული მუშა, ნიკიფორე კერკენჯია ან და ისეთი ამხანაგები, როგორიც იყვნენ სანდრო შავიშვილი, კვიროსი ხოშტარია, ალფესი ურუშაძე და სხვები.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს რაზმს სასახელოდ არ

შეესრულებინოს ყოველი ამოცანა, რომელიც კი ხვდა მას წილად. შინაური ქაოსი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ ჩვენს საზღვრებს მოადგა ოსმალეთის ჯარი.

გაჩაღდა ბრძოლა ბათუმთან და ვის არ ახსოვს ჩვენი ძვირფასი ამხ. შავგულიძის გმირული დაღუპვა «ანარჩის» სიმაგრეზე. ბათუმშივე მოგვიკლეს ამხ. რუბ. პაპუაშვილი.

მოუმზადებელნი და გამოუცდელნი დავმარცხდით, ბათუმი მტერმა აიღო.

15 დღის ტყვეობის შემდეგ მოვახერხე მტრის ბანაკიდან გაქცევა და როცა გურიაში გავედი, გავიგე, რომ ახალციხე-აწყვერის საზღვრებზე გვიტყვის ოსმალეთის ჯარი და სულ რამოდენიმე დღეა რაც მთავრობამ იქ გაგზავნა ჩვენი ახლად შედგენილი პარტიული პარტიზანული რაზმი. მესამე დღესვე, რამდენიმე ამხანაგი დავეწიეთ და შევუერთდით რაზმს.

ჩვენი პარტიის საუკეთესო ნაწილს ამ რაზმში მოეყარა თავი. აქ იყვნენ გლეხები, მუშები, ინტელიგენტები, აღსავსე ერთი რწმენით და სურვილით.

1918 წლის 23 მაისი—ეს იყო გენერალური გამოცდა ჩვენი რაზმისა აწყვერთან, ისტორიული «ასპინძის ველის» მახლობლად. ამ დღეს შევეტაკეთ მტერს. 16 საათი გასტანა ხელჩართულმა ბრძოლამ. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მცირე იყო რიცხვი ჩვენ მეომართა ოსმალეთის ჯართან შედარებით, გამარჯვებული გამოვედით და დიდი ზიანი მივაყენეთ მტერს.

ამ ბრძოლაში მოგვიკლეს 14 საუკეთესო მებრძოლი.

ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ამხ. მეღუა. ამავე დღეს, მტრის ყუმბარით ჩამოხეთქილ კლდიდან გადაიჩეხა და დაიმტვრა ჩვენი მოხუცი ნიკიფორე კერკენჯია.

სულ რამოდენიმე კვირაში გამოეწერა საავანთმყოფოდან და რაზმს მოაშურა; მომენატრეთ ამხანაგებიო, გვეხუმრებოდა. მტერი აძლიერებდა თავის ძალებს და ლამობდა ბორჯომის ხეობით ხაშურის აღებას და ამგვარად საქართველოს ორ ნაწილად გაქრას. \*) მაგრამ 23 მაისის ბრძოლამ რაზმელები ძლიერ გაამხნევა და ყოველი შემდეგი შეტაკება ძვირად დაუჯინა მტერს. იმ ახლო ხანში ოსმალეთთან ზავი ჩამოვარდა და ჩვენი რაზმი დაუსვენებლად ახალ ომში ჩაება. ეს იყო დუშეთის მახრა, სადაც გვებრძოდა ვლადიკავკავიდან გადმოსული რუსის ბოლშევიკური ჯარები მათ მიერ მოყიდულ ოსე-

\*) ამ ფრონტზე მოკლეს ამხ. გიორგი ჭუბაბრია, რომელიც ქუთაის-ბაღდადით გადმოვიდა სხვა ამხანაგებთან ერთად.

ბის ავანტიურისტებთან ერთად. პირველი შეტაკებისთანავე მტერი სასტიკად დავამარცხეთ. ანაჟურიდან დაწყებული დარიალის ხეობამდე ყოველი მტკაველი მიწა ბრძოლით ავიღეთ.

არ ყოფილა ისეთი შეტაკება, რომ მტრისთვის არ წაგვერთვას ზარბაზნები, ტყვიამფრქვეველები, თოფები და აუარებელი ტყვე.

მასხოვს დიდი ბრძოლა ფასანაურთან. მტერს აქ დიდი ძალები დაეგროვებია და საუკეთესოთ გამაგრებული პოზიციებიდან გადმოვიდა შეტევაზე. გაათრებულ მთელი დღის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება აქაც ჩვენ დაგვრჩა. ამ დღეს მოგვიკლეს ჩვენი საყვარელი ამხანაგი გულისაშვილი. დაიჭრა მიწა კოლუაშვილი და ათიოდე რაზმელი. მტერს ფეხდაფეხ მივსდევდით. კოვში მოგვიხდა ხელჩართული ბრძოლა, მასხოვს ერთი იშვიათი შემთხვევა: ჩვენი მწვერავი საშა გვენეტაძე მტრის ტყვიით ფეხ მიმტვრეული მთელი ერთი საათი მარტოდ ებრძოდა 25 კაცს და ნახევრად სისხლიდან დაცლილს შემთხვევით მიუსწართ ამხანაგებმა.

დარიალის ხეობაში უკანასკნელად და საბოლოოდ დავამარცხეთ მტერი. რაზმი დაბანაკდა საზღვარზე—ლარსში. აქ მტერმა მორიგება ითხოვა და დათანხმდა ყველა პირობებზე, რაც კი მოსთხოვა მას ჩვენმა მთავრობამ.

გაჩნდა ახალი საშიშროება სოხუმის ოლქში და ჩვენი რაზმიც იქ იქნა გადაყვანილი.

მტერი არ გვასვენებს არც ერთი მხრით.

მოულოდნელად თავს გვესხმის სომხეთის ჯარები. ომის გამოუცხადებლად, ქურდულად თავს ესხმიან საქართველოს სანაპირო რაზმებს. აქაც გაჩაღდა დიდი ომი. ამ დროს ჩვენი რაზმი გაგრის ხაზზე ებრძოდა მტერს და მისი მცირე ნაწილი საქმეების გამო შემთხვევით ტფილისში მოვხვდით.

სასწრაფოდ შევადგინეთ გუნდი და სახალხო გვარდიის ნაწილებთან ერთად გავეშურეთ ეკატერინოფელდისაკენ. მასხოვს უკანასკნელი დღე სომხებთან ომისა ბოლნისხაჩინთან. ამ დღეს სასტიკ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ჩვენი პატარა გმირი სანდრო შავიშვილი. 1917 წლიდან არც ერთი ბრძოლა არ დაჰკლებია მას. ის იყო მთელი რაზმის თვალი, მუდამ მოღიმარი და სიცოცხლით სავსე. მის გვერდით მოჰკლეს ჩვენი დინჯი და ერთგული ამხანაგი ხარლამპე ჩხაიძე.

სომხეთთან ომის დასრულების შემდეგ, პარტიამ გადასწყვიტა, რადგანაც უკვე შეიქმნა და საკმაოდ ჩამოყალიბდა რეგულიარული ჯარი, დაშალოს რაზმი, როგორც პარტიული

ერთეული და გადასცეს სამხედრო სამინისტროს თავისი ქონებით და შემადგენლობით.

ამ რიგად შეიქმნა მეშვიდე ლეგიონი და 1920 წლის განაფხულზე უკვე ამ ლეგიონში თავმოყრილნი ვებრძოდით მტერს, რუსულ ბოლშევიკურ ჯარებს, რომლებიც შემოიჭრენ ჩვენს ტერიტორიაზე აწერბეიჯანის მხრიდან.

ამ ლეგიონში ვიყავით მაშინაც, როცა ინგლისმა ჩაგვაბარა ბათომი.

ეს ის დრო იყო, როდესაც თითქოს დასრულდა ეს შეუწყვეტელი ომები და ქართველმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ბათომიდან ამხანაგებმა აღარ გამიშვეს და ჩაგვებით პოლიტიკურ მუშაობაში.

ბათომში ძველი ამხანაგების გარდა დამხვდენ ბევრი ახლებიც, რომლებსაც წინად მხოლოდ შორიდან ვიცნობდი.

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება პირველი დღიდანვე ჩემზე მოახდინა ამხ. გიგა ჩიქოვანმა.

ის იყო იშვიათი ამხანაგი, სპეტაკი სულის პატრონი და გატაცებული მუშაკი ჩვენს ორგანიზაციაში.

ოსმალეთის შემოსევით და შემდეგ ინგლისის ჯარების ბათომში ბატონობით დანგრეული პარტიული ორგანიზაციები გიგას აღედგინა თავისი დაუღალავი მუშაობით.

როგორც კომიტეტის მდივანს ძლიერ ახლოს მიხდებოდა გიგასთან ყოფნა და ერთად მუშაობა. ის ადრე გახდა მთელი ბათომელი ამხანაგების საყვარელი პირი და ერთ ერთი მთავარი ხელმძღვანელი ბათომის კომიტეტისა. მაგრამ თავისუფალ სამშობლოში ლეგალურად მუშაობის დროს, როდესაც პოლიტიკური რწმენის და მუშაობის გამო პირადი საფრთხე არავის მოეღის, განა შეიძლება სავსებით გაიცნო და დააფასო ისეთი ადამიანი, როგორიც იყო გიგა?

ნათქვამია ამხანაგს ჭირში გაიცნობო.

და ეს ჭირი, საშინელი შავი დღეები დაუდგა კიდევ ჩვენს ქვეყანას.

წითელ ქურქში გამოხვეული, რუსეთის იმპერიალისტური არმია მოულოდნელად და ქურდულად შემოესია ჩვენს სამშობლოს. სამი წლის განსავლობაში შვიდჯერ სასტიკად დამარცხებულმა ბოლშევიკებმა კარგად იცოდენ, რომ ქართველი ხალხი ადვილად არავის დაუთმობდა თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ამიტომ იყო, რომ ისტორიული მტერი ხუთი მიმართუ-

ლებით შემოესია საქართველოს და მოაზღვავა აუარებელი ჯარები.

მასხოვს, როგორი ალტაცებით და ლამაზად გაემგზავრა ბრძოლის ველზე სახალხო გვარდიის ბათუმის ათასეული, რომლის მესამე გუნდს ამშვენებდნენ მრავალ ომებში გამო-ბრძმედილი ჩვენი ამხანაგები.

ამავე გუნდს ხვდა წილად სამკვდრო სასიცოცხლო ბრძო-ლა კოჯორთან. ამ ბრძოლაში გმირულად შეაკვდა მტერს ჩვენი საყვარელი მოხუცი ნიკიფორე კერკენჯია. მასთანვე გმირულად დაიღუპენ კვიროსი ხლოშტარია, ამხ. გაბუნია. და განა მარტო ესენი? რამდენი ქართველი მეომარი შეეწირა ამ საბედისწერო ომს...

უსწორო ომში მტერმა დაგვაპარცხა; ჩვენი სიამაყე და დამოუკიდებლობის სიმბოლო, ქართული დროშა ფეხქვეშ გასთელა. 117 წელიწადს ებრძოდა ქართველი ხალხი რომანოვ-თა უღელს და მოიშორა დიდი სისხლის და მსხვერპლის გა-ლებით. ესლა რომანოვთა უღელი შესცვალა ლენინის უღელმა.

შეიცვალა ბატონის სახელი—უღელი ისევ რუსული დარჩა.

ამ ახალმა ჯალათებმა, ჯერ გაუგონარმა ცინიკებმა კაცო-ბრიობას ყური გამოუყრუეს ერთა განთავისუფლების პრობა-განდით და ყვირილით. დამონებულ პატარა ერთა განთავისუ-ფლება თავის პრინციპად და საქმეთ აღიარეს და სწორედ ახ-ლად განთავისუფლებულს საქართველოს, რომლის დამოუკი-დებლობა თითონვე იცნეს, თავს დაესხნენ ქურდულად და სის-ხლში ჩაახრჩეს. დადგა საშინელი ტანჯვის დღეები, საქართვე-ლოში გამეფდა საშინელი ტირანია. გამარჯვებული მტერი შეუდგა თავის მორიგ საქმეს; მან მიზნათ დაისახა, ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრას ქართველი ხალხის გულში და შეგნე-ბაში თავისუფლების ჩანასახიც კი. გაივსო ჩვენი ქვეყანა რუ-სის ჯარებით, «ჩეკის» მოხელეებით და ყველა ჯურის არა-მზადებით.

ციხეებში და «ჩეკის» სარდაფებში ჩაყარეს ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი.

ამ საშინელი დღეებიდან ვიდრე 1924 წლის აგვისტომდე მიხდება მუშაობა ბათუმის ორგანიზაციებში ამხ. გიგასთან ერთად.

ნაწილი პასუხისმგებელ ამხანაგებისა ადრე მოსტეხა «ჩე-კის» კედლებში განცდილმა მწარე დღეებმა და აქტიურ მუ-შაობას ჩამოაშორა. ამ დროიდან გიგას აწვევა მთელი სიმძიმე



მუშაობისა და ის გაბედულად და ენერგიულად ეკიდება საქმეს.

მეტად ძნელია ადამიანმა ყოველი პირადი დასთმოს და მთელი არსებით შეეწიროს საერთო საქმეს. გიგაკი ამას ახერხებდა. ბევრჯერ იყო დატუსაღებული, მაგრამ განთავისუფლების თანავე ის მუშაობაში ებმებოდა. იყო თავმჯდომარე ჩვენი პარტიული კომიტეტისა, წევრი ინტერპარტიული კომიტეტისა, არალეგალური წითელი ჯვრისა და ყველგან სიყვარულს და ნდობას იმსახურებდა.

ბათუმის ორგანიზაცია სამაგალითო გახდა ჩვენ პარტიაში და ეს გახლდათ გიგას თავგანწირული მუშაობის შედეგი.

რამდენი ღამე გაგვითევია ერთად გეკტოგრაფზე პროკლამაციების ბეჭდვით! ერთ ღამეს ამხ. მიშა კოლუაშვილიც ჩვენთან იყო და მახსოვს, გიგა ეუბნება: «ჩვენ შემდეგშიაც მოვახერხებთ ვბეჭდოთ ასე წვალებით, მაგრამ საჭიროა კარგი სტამბა გექონდეს ცენტრში. ხვალ შენ წახვალ ტფილისში და წაიღებ 2 ფუთ ასოებს, გედეონს ჩააბარე პირადათ, ჩემო მიშა».

დადგა 24 წელი, მოახლოვდა აჯანყება, საქმეების გამო ტფილისში მიხდება წასვლა. იქ ვხვდები გედეონ სვანიძეს და სხვა აქტიურ ამხანაგებს.

გედეონი კატეგორიულად მთხოვს, დავეთანხმო გიგას ტფილისში გადაყვანაზე. მაგრამ გიგას ბათომიდან წასვლა შეუძლებელი იყო. გიგა არა მარტო ჩვენი პარტიული ორგანიზაციისთვის იყო საჭირო ბათომში. ის სარგებლობდა მთელი ბათუმის ქართველი საზოგადოების სიყვარულს და დიდ რწმუნებას თამაშობდა ბათუმის ინტერპარტიულ კომიტეტში...

28 აგვისტოს ღამით რკინისგზის სადგურში დააპატიმრეს გიგა და მასთან ერთად მთელი შტაბი წამოსასვლელად გამზადებული. ამ მარცხისგან გამომწვეულმა პირობებმა ქობულეთიდან გურიაში გადმისროლეს და აჯანყების დასრულებამდე არაფერი ვიცოდით, თუ რა ბედი ეწვია დატუსაღებულ ამხანაგებს...

აჯანყება დამარცხდა, გავიდა რამოდენიმე დღე და მთებიდან სურებში ჩამოვიპარეთ ოთხი კაცი. ერთმა ამხანაგმა გადმომცა აქ ტფილისის და ბათუმის განხეთები, სადაც წავიკითხე დახვრეტილთა სიები.

ტფილისის განხეთში დახვრეტილთა სია იწყებოდა: ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, გოგიტა ფალავა და სხ. მეორე,

ბათუმისაში კი: გიგა ჩიქოვანი, გენ. ფურცელაძე, მინა საბაშვილი, ლადო ახვლედიანი, კუკური ჩიქოვანი, ალათი გორდელაძე და სხვები. როგორც იყო მოვალწიე ბათუმში და აქ დაწვრილებით გავიგე ყველაფერი.

გამარჯვებულ მტერს ქართველი ხალხის სისხლი შეუგუბებია და შიგ ცურაობს.

დახვრიტეს 4000 მეტი საუკეთესო ქართველი მამულისშვილი. ლაჩარმა მტერმა შური იძია და ამოსწყვიტა ხელფენ შეკრული ტუსალები.

4 წლის ერთად ბრძოლისა და მუშაობის შემდეგ აუტანელია შერიგება იმისა, რომ სამუდამოთ დავკარგეთ ისეთი ამხანაგები, როგორიც იყვნენ: გიგა ჩიქოვანი, გედეონ სვანიძე, სიმონ მაჭავარიანი, ლადო ახვლედიანი, გია აბაშიძე, კუკური ჩიქოვანი, შალიკო დოლიძე, მიშა კოლუაშვილი და მრავალი სხვები.

მშობლებს და ამხანაგებს იმის საშუალებაც არ აქვთ, რომ მივიდნენ ამ ძვირფას ადამიანთა უპატრონოდ მიგდებულ საფლავებზე და ყვავილებით შეამკონ. ეს იმიტომ, რომ სამშობლო დღესაც მტერთა ხელშია. ბრძოლა გრძელდება, დიდმა მსხვერპლმა ვერ გასტეხა ჩვენი პატარა სამშობლო. ათი ათას ქართველს, შორეულ რუსეთის ცივ კუნძულებზე და ციხეებში დატყვევებულთ, ოთხი ათას ქართველ დახოცილებს ჰყავთ მამები, ძმები, ამხანაგები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ ბრძოლას საქართველოს გასანთავისუფლებლად.

ჩვენი პარტია, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მუდამ იღვა ქართველი ერის სადარაჯოზე, იარაღს ვერ დაჰყრის.

მტერთან ბრძოლაში დანთხეული სისხლი, ძვირფასი ამხანაგებისა მოგვიწოდებს ბრძოლის გასაგრძელებლად.

დღეს კი პარტიის არსებობის ოც და ხუთი წლის თავზე სიყვარულით მოვიგონოთ დახოცილი ამხანაგები და თვალწარმტაც მარგალიტებით ჩავაქსოვოთ მათი სახელები პარტიის ოც და ხუთი წლის ისტორიაში.

ო. კ—ძე.

1926 წ.



## ს ი ო ნ ე ს ვ ი ლ ი ს ა ნ დ ე ნ ა .

სისხლისაგან დაცლილი, მაგრამ ჯერ კიდევ გაუტეხელი მოხუცი ირაკლი ომში მოღლილ მკლავს რუსეთისაკენ იწვიდის, რომ გაპარტახებულ, აოხრებულ ქვეყანას ერთმორწმუნემ დახმარება და მფარველობა აღმოუჩინოს. ვერ გასჭრა შორს მკვრეტ სოლომონ ლეონიძის გაფრთხილებამ: «იცი მეფეო, რომე ივერნი იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?»

ხედავდა ამას ირაკლიც, მაგრამ რა ექმნა—როცა ყველა გზები მოჭრილი შეიქნა.

რა იცოდა ამ დიდმა მოხუცმა, რომ ჩრდილოეთით მოწოდებული ტალღა უფრო სასტიკი, ცივი და ვერაგი იქმნებოდა, ვიდრე სპარსეთ-ოსმალეთიდან?

მას ჯვრის იმედი ჰქონდა და რუსეთმა მართლაც ჯვარზე გააკრა პატარა საქართველო. და თუ ქრისტეს ერთხელა კრეს შუბი, ქართლის სხეული რუსულის ხიშტით მრავალგან იქმნა განგმირული.

წაუხდა ანგარიში დიდ მოხუცს: ქართველმა ეს «მოსვენება» და კალთის «გადაფარება» თურმე საშინელის მონობით იყიდა.

საბედისწეროდ დატრიალდა ბედი ქართლისა: არ იყო ჩვეული, რომ თვით დაედო უღელი; აკი მას ოცი საუკუნის ისტორია მონობის წინააღმდეგ ბრძოლით დაუწერია.

მოვიდა ირაკლის ძახილზე ეს უტრადიციო, უკულტურო და ეგებრთელა სახელმწიფო, მოიტანა მტკიცედ გაქედილი მძიმე ბორკილი.

მერმეთ, ვიციტ, რაც მოხდა... იყო მრავალი უთანასწორო კუთხობრივი შებრძოლება დაბმულ არწივისა: ქიზიყი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო აჯანყდა, მაგრამ მტკიცე აღმოჩნდა ჩრდილოეთში ნაჭედი ბორკილი. მარკიზ პაულიჩები, ერმოლოვები, ვორონცოვები, გალიცინები ყველანი სხვადასხვა მიდგომით სთხრიდნენ ქართველობის სამარეს. მისთვის გმირული სიკვდილიც კი დანანებოდათ. და აი, განვლო საუკუნემ რუსეთისაკენ ხელის გაწვდის შემდეგ და ქართველი ერის აქტიობაც თითქოს მოდუნდა: ნაცადმა საშუალებამ—ციმბირმა და ტყვიამ დალაღა და საკმაოდ მოსტეხა ძველი თაობა. ის თბილ ადგილებზედ მოკალათდა და თვისი ენერგია რუსეთის უღეველ და ვერაგულ სახელმწიფო აპარატების სამსახურში დაიცხრო.

აქაც არ შეჩერდა და 1901 წელს მან რუსეთთან შეერთება — საქართველოს ორ გუბერნიად გადაქცევა, მისი სუვერენობის გათელვა დიდის ამბით იდღესასწაულა. მეფერამეტე საუკუნეს ვერ აღმოუჩნდა ღირსეული მემკვიდრე: მან ჩვენი წყლულის გაღრმავება მოიწადინა, საქართველოს განაწამებ სხეულზედ სამარცხვინო დაღის დასმაც კი მოინდომა. მათ უნდოდათ ეთქვათ, რომ ჩვენ მონობით ბედნიერი ვიყავით.

მაგრამ ჩრდილი გადევრა იმპერატორისამდი მილოცვებს და ერთგულების ფიცს. მოულოდნელი რამ მოხდა — აღმოჩნდა, რომ საქართველო მკვდარი არ იყო ამ «ზეიმის» დროს, საქართველოს სხეულის ერთ ნაწილში თავი ეპოვნა ახალ ძალას, რომელმაც პაწია ანკარად გადმოხეთქა. ისევ გაისმა იმედი და ბრძოლის ყიყინა, ერთმა მუჟა ქართველობამ სთქვა სიტყვა სწორი და ძლიერი: ჩვენ არ მოგცემთ ნებას, რომ საქართველოს ღირსეულ წარსულს ბინძურის ხელებით შეეხათ! თუმცა ის ხუნდებშია, მაგრამ შუბლზედ სირცხვილის და მონობის დაღს მაინც არ დაგასმევიანებთ. მისი შვილები კვლავ ცოცხლები ვართ; ჩვენ მოვდივართ და ქართლის ბედი ხელახლა უნდა გადაწყდეს... დალილები უნდა ჩამოდგენ.

სასაცილოდაც არ ყოფნიდათ მოზეიმეთ ამ ერთი მუჟა ხალხის «თავხედობა და უგუნურება». მაგრამ დიდი იმპერატორის დღესასწაულში დისონანსი მაინც შეიჭრა, მის ერთგულებს შუბლი შეეკრათ. თითქოს ინსტიქტით იგრძნეს, რომ ეს მცირე ნაკადი ქართლის საღ ნაწილიდან მომდინარეობდა და შეიძლებოდა ნიაღვარად ქცეულიყო.

შავმა რუსეთმა სხვა საშუალებანი არ იცოდა — რაინდობიდან ხომ მუდამ შორს იყო და ისევ ნაცადი ციმბირი, ციხე და ტყვია აალაპარაკა.

მაგრამ სიტყვა თქმული 1901 წელს გამოდგა სიტყვა ქართული და უძლევი — მან შეაშფოთა მტერი შიგნით და გარედ. მან იხსნა საქართველოს ღირსება საშინელ სირცხვილისაგან — დამონების ზეიმობისაგან.

არც თუ ისე მეოცნებე გამოდგა ეს მცირე ჯგუფი: ნაკადმა იდინა, მას მრავალი მდინარე შეუერთდა, გაიზარდა, ნიაღვარად იქცა და 17 წლის შემდეგ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ნაპირები გადახეთქა. 26 მაისს დიდის ხნით დაღუმებულმა ეროვნულმა ზარებმა კვლავ იმედიანად ჩამოჰკრეს და ვინც წინად დასცინოდა ამ «მეოცნებეთ და თავხედებს», ის ეხლა თეთრ გიორგის წინ გაწითლდა. სირცხვილის მოხდას შეუდგა. აქ დადგა ნამდვილი ზეიმი, მაგრამ... დადგა ხელახლა

განსაცდელის დღე და მტერმა შიგნიდან კვლავ გაუღო სისხლით ნაღებ კოფრის კარები ეხლა წითლად მოსილ შავ ბარბაროსულ რუსეთს. მაგრამ ეხლა მოსულთაც და კარის გამღებთაც ანგარიში წაუხდათ: ქართველობამ როგორც ერთმა კაცმა იცის, იცნობს თუ ვინ მოვიდა, იცის რომ მას ნაცად მონობის გარდა არაფრის მოტანა არ შეუძლიან და ჩვენს ხალხს ეხლა ციმბირით და ტყვეით ვერ შეაშინებენ და ვერც ვორონცოვებით აუხვევენ თვალს.

დღეს ერთი მუჟა აღარ არის, რომ საქართველოს დაპყრობის ზეიმში მონაწილეობას არ იღებს და ჩუმად ხმაღს ლესავს. დღეს მთელი საქართველო ძალას იკრებს, ირაზმება და სდუმს დიდი ქარიშხლის წინ.

დღეს 25 თებერვლებს რუსის ჩეკისტები, სომხის გადაგვარებული კომსომოლები თუ ზეიმობენ. ქართველი კი თვის დროშას გულში ინახავს—იცის, რომ ეხლა ხანგრძლივი ველარ იქმნება ხელმეორედ შემოჭრილ მტრის ზეიმი. მტერი დღეს ის აღარაა, რაც პირველად იყო: მოღლილი, გაპარტახებული, გახრწნილი, შიგნით და გარეთ მტრებით შემოსალტული.

ასე მძლავრად გამოღვიძებულს ქართველ ერს ვერც შიშით დედინაცვლის ნანინათი დააძინებენ.

ასეთია შედეგი 1901 წელს დაჩრდილულ ზეიმისა, ასეთია ისტორია მცირე ნაკადის ზღვად ქცევისა...

დღეს მტერი თავს დაგვჩხავის და მოგონებებისათვის არა გვცალიან, მაგრამ თვითონ ამ ეპიზოდში არის დინამიკის—ბრძოლის ელემენტი: ის ჩვენ ძალას და სიმხნეს გვაძლევს და მტერს მარტო ეს მოგონებაც კი ლახვარსა სცემს...

მ. წარი.

## ზოგიერთი მოვლენა

პარტიის ისტორიიდან.

მე არ ვკისრულობ პარტიის ოცდახუთი წლის თავგადასავლის აწერას, საამისო მასალა არ მომეპოვება, მაგრამ მინდა ამხანაგებს გავაცნო ზოგი რამ, რასაც პირადად დავსწრებივარ ან გამიგონია უფროს ამხანაგებისაგან. პირველი წინასწარი საპროგრამო და საორგანიზაციო მუშაობის რეალური ნაყოფი იყო გაზეთ «საქართველოს» გამოცემა პარიზში.

თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ამის შემდეგ

ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია 1904 წელს პარიზში და ამ კონფერენციის ოქმების გამოცემა, სადაც სათანადოთ იყო გაშუქებული ჩვენი ცხოვრების საქირ-ბოროტო ეროვნული და სოციალური საკითხები.

პარიზშივე იქნა გამოცემული რამდენიმე წიგნაკი, რომლებიც ვრცელდებოდა საქართველოში და დიდ ინტერესსაც იწვევდნენ. ამავე დროს თვითონ საქართველოშიაც, ტფილისში თუ ქუთაისში, ახერხებდნენ ამხანაგები სხვადასხვა შინაარსის არალეგარულ ბროშურების დაბეჭდვას. ასეთი იყო, «სოციალიზმი და ეროვნული საკითხი», «ვისი უნდა იყოს მიწა», «მშრომელ ხალხს» და სხვა. შინაური საპროპაგანდო მუშაობა განსაკუთრებით გაცხოველდა 1904, 5 და 6 წლებში და უქთავრესად საქართველოს ავტონომიის და მიწის საკითხის გარშემო. აქ მოვიხსენიებ იმას, რომ ამხანაგები გარდა ყოველ დღიურ გაზეფის წარმოებისა სცემდნენ ყოველ-კვირეულ საგლესო ჟურნალს ჯერ «გლესს» და შემდეგ «მიწას», რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა ფართო მასებში. რამდენადაც მახსოვს, 1905 თუ 6-ში გორის მაზრაში, ზაფხულს, გაიმართა პარტიული კრებები საპროგრამო საკითხების გამოსარკვევად და ჩამოსაყალიბებლად. პარტიულ ამხანაგებში დიდი ბრძოლა იყო ანარქისტულ მიდრეკილების წინააღმდეგ პარტიაში. ბრძოლამ მეტად ფართო და მკაცრი ხასიათი მიიღო. მოანარქისტე ელემენტებს უნდოდათ პარტია მთლიანად ანარქისტული გამხდარიყო. რამდენიმე დღის ცხარე კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა კომპრომისული დადგენილება, რომელმაც იხსნა პარტია დანაწილებისაგან. საბედნიეროთ, პარტიულ უჯრედებში და დაბალ ფენებში ამის შემდეგ მოხდა საკითხების დადინჯებითი გაშუქების და შესწავლის შემდეგ დიდი გარდატეხა და გადახალისება. და როცა შემდეგ წელში გაიმართა ტფილისში კვლავ საერთო პარტიული კრება, ორგანიზაციების წარმომადგენლებში მხოლოდ ორი თუ ერთი აღმოჩნდა მოანარქისტე დელეგატი. ამ კრებაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარტიის ძირითადი საფუძვლები და პროგრამამ მიიღო ის სახე, რომელიც მას არსებითად შერჩა. ამიერიდან პარტია სავსებით გაიწმინდა მერყევ ელემენტებისაგან. რუსეთის პირველ რევოლუციას მოყვა სასტიკი რეაქცია. პოლიტიკური და სოციალური მუშაობა ძლიერ გაძნელდა. ამხანაგებმა მოახერხეს მხოლოდ რამოდენიმე არალეგალურ ფურცლების და ჟურნალის «სოციალ-ფედერალისტის» ერთი თუ ორი ნომრის გამოცემა. სწარმოებდა ფარული პრა-

პაგანდა და არსებულ ორგანიზაციების შენარჩუნება. ამავე დროს ამხანაგები განუწყვეტლივ აწარმოებდნენ ლეგალურ ყოველ-დღიურ გაზეთს, რომელიც, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა პარტიულ მოფლმხედველობის სრული გამომხატველი, მაგრამ საკმაოდ აშუქებდა ქართველი ერის საჭიროებას და იცავდა მშრომელი მასის ინტერესებს.

დიდი სიცხველე შემოიტანა პარტიულ ცხოვრებაში მოფლიო ომის დაწყებამ 1914-ში, რომელმაც ფართო პერსპექტივა გადაუშალა ჩვენს ქვეყანას. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება:

ამხანაგების მცირე ჯგუფის ფიქრით, თუ რუსეთი გაიმარჯვებდა, ეს გამოიწვევდა მთელი რუსეთის დემოკრატიზაციას და ჩვენი ეროვნული საკითხიც ჩვენდა სასარგებლოდ გადაიჭრებოდა. მხოლოდ დიდი უმრავლესობა კი ამბობდა, საჭიროა რუსეთის სრული დამარცხება, რომ ჩვენი მდგომარეობა არსებითად შეიცვალოს. მახსოვს ომის დროს გაიმართა არალეგალური პარტიული კრებები ერთი ტფილისში მთელი საქართველოსათვის, მეორე ქუთაისში დასავლეთ საქართველოსათვის, 1917 წლის თებერვლის ამბების შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოს ყველა ცოცხალ ძალების ფართო ამოძრავება და ჩვენი პარტიაც შეუდგა მხნე მუშაობას. ამ წლის ზაფხულში გაიმართა პირველი თავისუფალი პარტიული კონფერენცია ტფილისის ქართულ თეატრში, რომელსაც დაესწრო სამასზე მეტი დელეგატი. საორგანიზაციო საკითხებთან ერთად შესწორებული და შევსებულ იქმნა პროგრამაც. მალე სანახევროთ პარტიულად წარმოებული გაზეთი გამოცხადებული იქმნა პარტიის ოფიციალურ ორგანოთ. პარტიული კონფერენციები შემდეგ იმართებოდა ყოველ წელიწადს და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პრაგრამაში შეტანილ იქნა რამოდენიმე შესწორება და დამკვიდრდა ისე, როგორც დღემდის არსებობს.

ამით ვათავებ ზოგიერთ ფაქტის აღნიშვნას პარტიის ისტორიიდან და იმედი მაქვს, სხვა ამხანაგები შეავსებენ ჩემს ნათქვამს და მოგვაწვდიან უფრო დაწვრილებით ცნობებს პარტიის წარსულის სრული გაშუქებისათვის.

ი. კაკვლ—მკვიდი.

## ჩვენის პარტია და ეკონომიკური მთლიანობის იდეა.

ჩვენი პარტიის არსებობის ოცდახუთი წლის თავზე, რომლის გადახდა ისტორიის ცვალებადობის გამო საზღვარ-გარედ მოგვიხდა, საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ის უმთავრესი პრობლემები მაშინდელ ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრებისა, რომელიც წამოაყენა ჩვენმა პარტიამ. არა მარტო ამ პრობლემათა ისტორიულ დამსახურების გამო, რასაც, ვფიქრობთ, დღეს ვერც ერთი გულწრფელი მოაზროვნე ქართველი ვერ უარყოფს,—არამედ, უმთავრესად იმიტომ, რომ დღესაც ეს პრობლემები არ არიან მოკლებულნი ცხოველმყოფელობასა და ჩვენი ერის ცხოვრებაში მეტის-მეტ მწვავედ და აქტუალურად სდგანან.

არის თუ არა განუწყვეტელი იდეური კავშირი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 25 წლის იდეურ-პრაქტიკულ მუშაობასა და დღეს ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში გაბატონებულ ეროვნულ სულსა შორის? იყო მართალი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და მისი ბელადი, არჩილ ჯორჯაძე, რომლებიც მუდამ მიგვიითიებდნენ ჩვენი ცხოვრების იმ მტკივნეულ პრობლემებზე, რომელთა დადებითი გადაჭრა ჩვენს ეროვნულ მთლიანობას მოახლოვებდა?

არჩილ ჯორჯაძემ პირველმა წამოაყენა საკითხი ეროვნულ მთლიანობის ჯერ კიდევ 1901 წელს თავის წერილებში (იხ. მისი წერ. «საერთო მოქმედების ნიადაგი», «ჩვენი მიმართულებანი» და მთელი რიგი წერილებისა ამავე საკითხზე) და იქვე აღნიშნა ის საერთო ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი იყო მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება.

რასი მდგომარეობდა ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული დებულება ეროვნულ მთლიანობის ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, საერთო მოქმედების ნიადაგის შესახებ, რაც ჩვენ პარტიის აზრით იყო და იქნება უმთავრესი პირობა ჩვენი ეროვნულ წარმატებისა? ქართულ პოლიტიკაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ პირველმა წამოაყენა ნათელი და გარკვეული პოლიტიკური კონცეპცია ერის და ეროვნების. ამ კონცეპციის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ ერს და ეროვნულ ინტერესს პირველ ადგილს ანიჭებდა და აქ იგი განეთვისებოდა იმათ, ვინც ერის ცხოვრებაში ვერას ხედავდნენ გარდა კლასობრივ ბრძოლისა, და იმათაც, რომლე-



ბიც უარყოფდენ ჩვენს ცხოვრებაში ეკონომიურ ანტაგონიზმს. მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა ეროვნული პოლიტიკა იძლეოდა შეგუებით ამიერ-კავკასიის და რუსეთის მაშინდელ პოლიტიკურად რთულ პირობებთან გარკვეულ ისტორიულ პერსპექტივას და ისახავდა ახლობელ პოლიტიკურ მიზნებს.

რა პირობები იყო საჭირო, რომ ჩვენი ერის რეალური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულიყო? უპირველესად ყოვლისა, შეთანხმება ამ მოთხოვნილებათა გარკვევა-გამუქებაში და მათი მიღწევის საშუალებათა დასახვა.

რაც პროგრესიულ მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს ერის ცხოვრებაში პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა, არ შეგვიძლია მწუხარებით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქართველ პოლიტიკურ დასთა და ქართველ ინტელიგენციის დიდი პოლიტიკური პოტენცია შეეწირა დავას იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ანსხვავებდნენ დასებს მიმდინარე პოლიტიკაში, ნაცვლად იმისა, რომ ეს ენერგია მიზანშეწონილად მოხმარებოდა ეროვნულ საჭიროებას.

ამ გაერთიანებისაკენ, საერთო ნიადაგის გამოსახანხავად იყო მიმართული ჩვენი ენერგიული ღონისძიებები, რადგან თავის ეროვნულ მიზნების მისაღწევად ამ გაერთიანებას უდიდეს პრინციპიალურ დებულებად ვსთვლიდით.

რა საკითხებს შეიცავდა ეს დებულება, რომელიც ყველა მაშინდელ პოლიტიკურ პარტიებისათვის მისაღები ნიადაგი იქნებოდა საერთო მოქმედებისათვის? ეს საკითხები იყო: 1. ქართული ენის და კულტურის დაცვა, 2. ქართულ მრეწველობის შექმნა და 3. საქართველოს მიწა-წყლის ქართველთა ხელში დარჩენა. უნდა ითქვას, რომ ენის საკითხი ყველას და ახლობებით ესმოდა. მართალია, ის ყველასათვის დაცვის საგნად იყო გამხდარი, მაგრამ ენის საკითხთან დაკავშირებით არა ნაკლებ მნიშვნელოვან ეროვნულ კულტურის ღირებულება არც სწორ პრინციპიალურად და არც სათანადოთ იყო შეგნებულნი. სწორი თეორიული გაგება ისევ არჩილ ჯორჯაძემ მოგვცა. კაცობრიობის კულტურულ განვითარებისათვის სხვადასხვა ეროვნულ კულტურას და ეროვნებას პრინციპიალური თანასწორი ღირებულება აქვს, ამიტომ მათი თავისუფალ განვითარებისათვის ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქმნენ იმ საზღვრებში, რომელიც სხვა ერთა ინტერესებს შელახვას არ უქადის.

დანარჩენ ორ საკითხსაც ისეთი მნიშვნელობა ქონდა და

აქვს ჩვენს ცხოვრებაში, რომ მათი უსწორო გადაჭრა დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენს ეროვნულ სხეულს. სწორედ ეს ორი საკითხი იყო დავის საგნად ათეულ წლების განმავლობაში ჩვენი პუბლიცისტებისათვის, რასაც მაინც ვერ მოყვა შეხედულებათა შეთანხმება. ნაცვლად აზრისა, რომ ქართველ მუშა და გლეხისათვის სულ ერთია საქართველოში ეკონომიურად სომეხი, რუსი თუ ქართველი მრეწველი იბატონებს, — ჩვენ გადაჭრით ვაყენებდით ნაციონალურ მრეწველობის საკითხს. მას შემდეგ შესაძლებელია, საერთო ეკონომიურ განვითარების გამო საწარმოო ძალთა ურთიერთობა შეიცვალა, მაგრამ ჩვენი ეკონომიურ პროგრამის დედააზრი საქართველოს ნაციონალური ეკონომიური განვითარებისა ძალაში რჩება.

საჭირო იყო ევროპიელ სოციალისტთა სახელმწიფოებრივი პრაქტიკა, მარქსიზმის საერთო ევოლუცია და, კერძოდ, მისი შეხედულების ერის და სახელმწიფოს შესახებ კარდი ნალური ცვლა. — რომ ჩვენებურ მარქსისტულ მსოფლმხედველობას უკუეგდო თავისი წინანდელი ინტერნაციონალური საზომი ნაციონალურ ეკონომიკის საკითხებში.

ჩვენი მიწის მფლობელობის სეპედეის საკითხი ჩვენთვის მუდამ მძიმედ იდგა იმ განსაკუთრებულ პირობების გამო, რაც შედეგია საქართველოს უკანასკნელ საუკუნის ისტორიულ უკულმართ ვითარებისა. მართალია, მიწის საკითხი ჩვენზე უფრო ადრე იყო იქნებ დასმული, მაგრამ მისი უკულმართ გადაჭრით ჩვენი ერისათვის დამღუპველ შედეგებზე მხოლოდ ჩვენ ადვიმალღეთ ხმა და ეს საკითხი ნათლად გავარკვეეთ. ეს მუქარა წინედ და ეხლაც არის მოღერილი. წინეთ ჩვენს წინააღმდეგ მომქმედი ძალა დღესაც ცდილობს ჩვენი მიწა-წყლის, ტერიტორიის უცხო ტომთა მოსახლეობით აჭრელებას.

დღეს არ შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ეროვნულ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონდეს შეგნებული თავისი მიწა-წყლის გაერთიანების და მასზე გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ ელემენტების მტკიცე უმრავლესობის მნიშვნელობა.

აღნიშნული საკითხები შეადგენდენ იმ საერთო ნიადაგს, ქართველ ხალხის ეროვნულ პოლიტიკას, რომელსაც უნდა გააერთიანებია ყველა ქართველი მომქმედი პოლიტიკური პარტია.

საუბედუროდ, ამ გაერთიანების მნიშვნელობა ვერ იქმნა მაშინ შეგნებული. საჭირო იყო ისტორიის მწარე გაკვეთილი

კიდევ იმავე რუსეთისაგან, რომ სიმძაფრით გაგვეცადა სიყვარული სამშობლოსადმი, განუზომელი მნიშვნელობა ეროვნულ მთლიანობის შეგნებისა და ფერფლად ქცეულიყო ილიუზია, თითქოს ქართველი მუშა და მშრომელი არაა ყოვლის უწინარეს შვილი ქართველ ერისა.

თუ ჩვენ წარსულში ჩვენი ძალღონე და ენერჯია შევალეთ ქართველ სასიცოცხლო ძალთა მთლიან მოქმედების იდეის გამტკიცებას,—დღესაც უფრო მეტათ, ვიდრე წარსულში, ვიცავთ ამ აზრს, რადგან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები ისეთივეა თუ არა უარესი, როგორც ეს მეფის დროს იყო, და ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვების უმთავრესი თავმდეები მხოლოდ ჩვენი ეროვნული მთლიანობაა. დღეს ყოველივე პარტიულს და კლასობრივ ინტერესზე ზევით უნდა იდგეს ეროვნული სული. მთლიანობის იდეია უნდა სუფევდეს არა მარტო ახლანდელ მოძალადეთა ჩვენი სამშობლოდან განდევნამდე,—არამედ შემდეგშიაც ის უნდა შეადგენდეს ჩვენი ეროვნულ წარმატების ერთს უდიდეს ფაქტორთაგანს.

ეროვნულ მთლიანობას სრულებით არ ეწინააღმდეგება კლასთა ბრძოლა. არიან კლასები, მაგრამ არის ერთი მთლიანი ერი.

ნიკ. ურუშაძე.

### პ ა რ ტ ი ი ს ც ხ ღ ვ რ ე ბ ა.

გასული წლის 24 ოქტომბერს პარიზში გაიმართა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად პარიზში მყოფ პარტიულ ამხანაგების საერთო კრება. პარტიის 25 წლიან მოღვაწეობის ისტორიაზე მოხსენება გააკეთა ამხ. სამსონ ფირცხალავამ, რის შემდეგ კრებამ მხურვალედ მოულოცა მას, პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელს და მის ხელმძღვანელთაგანს ეს იშვიათი დღესასწაული.

კრების დასასრულს ბიურომ დაურიგა დამსწრეთ ახლად გამოსული «სახალხო საქმე». ყველა ამხანაგების ხელის მოწერით მისალმაცი წერილი გაეგზავნა პარტიის მეორე ლიდერს ამხ. სიმონ მდივანს. ვბეჭდავთ ქვემოთ მისგან მიღებულ პასუხს:

«ჩვენი პარტიის ოც და ხუთი წლის დღესასწაულის გამო მოლოცვისათვის მადლობელი ვარ. მართალია ამ ხნის განმა-

ვლობაში ბევრი დაგვიხოცეს, ბევრი დაგვეხოცა, უმნიშვნელო ნაწილი ფეხზე მდგომი გაგვითახსირდა. სამაგიეროდ ჩვენი იდეა ცხოველმყოფელი აღმოჩნდა.

ოც და ხუთი წლის წინეთ ეროვნული და სოციალისტური დროშა ავაფრიალეთ, მცირე იყო ამ დროშის ქვეშ მებრძოლთა რიცხვი, მაგრამ დღეს მთელი ქართველი ხალხი ამ დროშის წინამძღოლობით იბრძვის.

ორ დიდ სამარადისო მცნებათა მემორის—ეროვნება და სოციალიზმი—პარმონია დავამყარეთ და მათ შედუღებას ჩვენი ძალდონე შევალეთ.

ჩვეთვალათ ჩვენი თავი ბედნიერებად, გამარჯვება ჩვენივე თვალებით ვიხილეთ. ამგვარი ჯილდო იშვიათია.

უკუღმართობა დღეს კვლავ ბრძოლისაკენ გვიწვევს. მზად ვიყო, ვიბრძოლო. ცხოვრება ხომ მუდმივი და განუწყვეტელი ბრძოლაა. ხალხი ბრძოლას წლებს ანდამებს...

წინეთ ქვემარტი მებრძოლი თავის მთავარ ძალას ხალხს და მშობელ ქვეყანას სწირავდა, მაგრამ იმავე დროს თავის პირადი კეთილდღეობისათვის დროს და ძალას მაინც პოულობდა.

დღეს ეს ბუნება ძირიანად შეიცვალა: ყველაფერი დედა-ქვეყანას და არაფერი პიროვნებას. მრავალი თავწაკვეთილი ქართველი ამის უტყუარი საბუთია.

ვიბრძოლოთ, სიკვდილი ნუ შეგვაშინებს. გმირული ლეგენდების განხორციელებული სახე წინ მიგვიძღვის.

ამ აზრით გამსჭვალულნი ქედს ნუ მოვიხრით, გულს ნუ გავიტყნებთ, სულიერ განწყობილებას ნუ შევსცვლით. ეჭვი არ არის, გავიმარჯვებთ. პარტიის არსებობის საუკუნის მეორე მეოთხედის დასაწყისს უსურვებ ყველას, პარტიის იდეალის და ტრადიციის შემნახველთ, ხანგრძლივ და ნამუსიან აქტიურ მოღვაწეობას ძვირფას საქართველოს ბრწყინვალე მომავალის საკეთილდღეოდ».

რ ა ს უ ნ დ ა მ ი ვ ა ქ ც ი ო თ

პ ი ო ვ ვ ლ ი ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა .

ბოლშევიკების ბატონობამ, უეჭველია, მეტად დიდი ზიანი მიაყენა იმ მცნებებს, რომლებიც ჩვენთვის უძვირფასესნი არიან და რომელთა გასაგრძელებლად და განსამტკიცებლად ქართველ ხალხში ათეული წლების განმავლობაში ვმუშაობდით მთელის ჩვენის ძალდონით. ეროვნება ცრუმორწმუნე-

ბად გამოაცხადეს, ხალხის თვითმართველობა ყირამალა გადაატრიალეს, სოციალისტურ მისწრაფებას ნდობა დაუკარგეს, ცოდნა და კულტურა გაამასხარავეს, ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა კიდევ უფრო დააქვეითეს და გაალატაკეს.

განთავისუფლებულ საქართველოს ძლიერ ცუდ პირობებში მოუხდება თავის ნორმალური ცხოვრების აღდგენა და ბოლშევიკების მემკვიდრეობის მოსპობას და წესიერი მდგომარეობის შექმნას, შემუშავებას საფუძვლებისა ეროვნულ განვითარებისათვის მძიმე და ფხიზელი მუშაობა დასჭირდება. თუ ქართველი ერის ვითარება წინადაც არ იყო სათანადო, მით უფრო გაძნელებული იქნება ბოლშევიზმის დამხობის შემდეგ. მე არ რას მოგახსენებთ საერთაშორისო კითხვებზე, მინდა აქ შევჩერდე მხოლოდ შინაურობაზე, საშინაო პოლიტიკაზე. ყველა ჩვენებურ პარტიას სჭირია ამ მხრივ ბევრი თავის წინანდელი შესხედულობის გადასინჯვა და მათი შეგუება შექმნილ პირობებთან. ეს არავის უნდა ეუცხოვოს. მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარმა ამბებმა ევროპის პოლიტიკური პარტიებიც დააყენა თავის პროგრამის გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე; ეს გადასინჯვა მით უფრო კატეგორიულია და აუცილებელი ჩვენთვის.

რას უნდა მივაქციოთ ჩვენი ყურადღება უპირველესად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ? ჩემის აზრით პირველი ადგილი უნდა დაიკავოს ზრუნვამ ქვეყნის ეკონომიური წარმატებისათვის. თუ ჩვენი ხალხი არ მოღონიერდა ქონებრივად, არ გაიმართა წელში, არ გაუმჯობესდა მისი კვება, ბინა, ჰიგიენური პირობები, მისი ყოველი მოქმედება იქნება სუსტი და ვერც თავის ეროვნულ თავისუფლებას დაიცავს ღირსეულად. ამისთვის საჭიროა ჩვენი პირველყოფილი სასოფლო მეურნეობის ნაცვლად კულტურული საშუალებების შემოღება—თუ იარაღების შემწეობით, თუ სათესლესა და სანერგავის გაუკეთესებით, თუ ჩვენი მიწა-წყლის სათანადო რაიონებად დაყოფით, თუ მოსავლის განაღდებით, თუ პრაქტიკულის ცოდნის მიწოდებით. საჭიროა მთელი იმ ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება, რომელიც მოგვეპოვება, მოწყობა ისეთ საკუთარ მრეწველობისა, რომლისთვის ხელსაყრელი გარემოება არსებობს ჩვენში. ამისთვის უნდა ვისარგებლოთ ყოველგვარი სახსარი ჩვენი თუ უცხოისი, კერძოდ თუ საზოგადოებრივი ინიციატივა, არ მივდიოთ განყენებულ აზრს და მიზნად დავისახოთ მხოლოდ ერის ქონებრივი გამდიდრება.

ამასთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის ფიზიკური

არსებობის დაცვა. რასაკვირველია ყოველი ავადმყოფობის წინამდებე საუკეთესო იარაღია კარგი თავის მოვლა, კარგი სმა-ჭამა, სალი ბინა, რაიც თავისთავად ჰგულისხმობს მატერიალურ საშუალებას. მაგრამ ჩვენში ბევრს სწეულობას, რომელიც მუსრავს მცხოვრებლებს, იწვევს ჭაობი, სინოტიე, საზოგადოებრივი სანიტარიის მოუწყობლობა, საექიმო დახმარების უქონლობა. უნდა მიღებულ იქნეს სერიოზული ფართო ზომები ყველაფრის ამის გამოსასწორებლად და უნდა გადავარჩინოთ ხალხი აი თუნდ მალიარიას, რომელიც მისი უდიდესი მტერია.

ერი იმდენად მაგარია, რამდენად მეტი აქტიური შეგნებუ-ლი წევრი ყავს. თავისუფლებას და თანასწორობას, სამართალს ის აფასებს და დაიცავს, ვინც თვით იღებს მონაწილეობას მის შექმნასა და მართვაში. მართალია, ბოლშევიკებმა სახელი გაუტეხეს თვითმართველობას და არჩევნობითს წესწყობილებას, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მომავალი საღ დემოკრატიაშია. ხალხი უნდა აღვზარდოთ თვითმოქმედებით დემოკრატისათვის, რომელიც მოკლებული უნდა იქნეს სრულებით იძულებას, შეუგნებლობას. დემოკრატია ფაქტიური და არა მხოლოდ გარეგნული სიტყვიერი! ხალხი უნდა შეეჩვიოს თავის პატრონობას პატარა, ალაგობრივ საქმეებიდან, ეკონომიურის თუ სამართველოსი და მაშინ იგი ადვილად გამოიღებს თავს მთელი სახელწიფოსთვისაც, იგრძნობს თავს მოქალაქედ, მამულის-შვილად. ხოლო აქ თავი უნდა დავიცვათ გამრყენელ დემაგოგისაგან და უნდა შევიგნოთ, რომ დემოკრატია სრულებით არ ნიშნავს უვიცთა და უუნაროთა გაბატონებას და პიროვნული ნიჭის და ღირსების უპატივცემლობას. პირიქით ჭეშმარიტი დემოკრატია თავისუფალ შერჩევის შემწეობით საუკეთესო წევრებს მუდამ პირველ რიგში აყენებს.

ამბობენ, რომ ომშიც ისინი იმარჯვებენ, ვინც უფრო გონებით განვითარებულნი არიანო. ქონებრივ წარმატებას, თავის მოვლას, თვითმართველობას, მამულიშვილობას ის უკეთ შესძლებს, ვინც აღჭურვილია ელემენტარულის ცოდნით მაინც. სამშობლოს სიყვარული, მისი თავისუფლების შეგნება, დაცვა იმას ემარჯვება, ვინც მას კარგად იცნობს, იცის მისი თავგადასავალი, ვისაც გაუგია სხვა ერების ამბებიც, მათი მუშაობა და ბრძოლა, ვისაც ესმის სხვადასხვა სახელმწიფოების წყობილება. მიწის დამუშავებაც, მრეწველობაც, წარმოებაც მოითხოვს გარდა სპეციალურ ცოდნისა საერთო განათლებას. ასეა საქირო იგი საზოგადოებრივ მოღვაწეობის სარ-

ბიელზედაც, იმისთვის, რომ ყველას შეეძლოს პირნათლად შეასრულოს თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა. ამიტომ სწავლა-განათლების გავრცელება უნდა იქნეს ერთი უმთავრეს ჩვენი პირველ საქმეთაგანი.

სიტყვას არ გავაგრძელებ იმაზე, რომ ჩვენთვის აუცილებელი საჭიროება იქნება თავიდანვე თავდაცვის კარგი მოწყობა. დიდი სამშვიდობო მოძრაობაა ამ ქამად მთელ დედამიწაზე, მაგრამ თავი არ უნდა მოვიტყვილოთ ცრუ ოცნებით, რომ ომიანობა ჯერჯერობით სავსებით მოისპობა და არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობა...

მაგრამ მეტყვიან: ეს ყველაფერი კარგი, ხოლო სოციალიზმი? სოციალისტური მოძღვრება დაგავიწყდაო? არა. პირიქით ჩემი სოციალისტური შეგნება ძალზე მავალეებს, რომ მას მტკიცე საფუძველი მიეცეს და არ იყოს ცალიერი სიტყვები, რეალობას მოკლებული განეპირებული დეკლარაცია. ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევიგნოთ, რომ უვიცს, გაღატაკებულს, პოლიტიკურად-სახელმწიფოებრივად მოუზნადებელს ქვეყანაში არასოდეს ექნება მკვიდრი ნიადაგი სოციალიზმს. სოციალური მუშაობა შეიძლება პარალელურად სწარმოებდეს ზემოჩამოთვლილ საქმეებთან ერთად, ან მათ მისდევდეს, იყოს სახელმძღვანელო იდეა, მაგრამ შეუძლებელია ჯერ სოციალიზმი ვიქადაგოთ და მერე სახლის შენება დავიწყოთ, ყანის მოვლა ვისწავლოთ, საერთო საერო ინტერესების დაცვას შევეჩვიოთ.

შეიძლება ჩემი აზრები საკმაოდ დასაბუთებული არ იყოს. ყოველ შემთხვევაში ვთხოვდი ამხანაგებს, კარგად ჩაუკვირდნ ჩემ მიერ აღძრულ საკითხებს.

ს. კ.

## კომუნისტები და

## გვრდვის მუშათა კლასი.

გარმანიის მემარჯვენე კომუნისტები მართალი არიან, როდესაც სწორენ სტალინის შესახებ, რომ უკანასკნელს, კომინტერნის და მისი სექციების გაუქმება სურსო. ეს ნათელი შეიქმნა გერმანიის რეიხსტაგის იმ სკანდალურ სხდომაზე, რომელზედაც სოციალისტმა შეიდემანმა ურყევ ფაქტებით დაამტკიცა გერმანიის რეიხსვერის (ჯარის) და საბჭოთა მთავრობის შორის არსებული კავშირი.

შეიდემანმა გამოაქვეყნა, რომ 1923 წელში ჰამბურგსა და

სხვა ქალაქებში, მოსკოვის კარნახით კომუნისტების მიერ პროვოკაციულად მოწყობილი მუშათა აჯანყებები ჩაქრობილ იქმნა რეიხსვერის მიერ იმ ტყვია-წამლით, რომელსაც საბჭოთა კავშირში ამზადებენ გერმანელ მუშათა გასაგმირავად!

მუშათა კლასის ასეთივე «ინტერნაციონალურ სოლიდარობის» ნიმუში მისცენ კომუნისტებმა ინგლისის მუშებს. მოსკოვის აგენტების კუკის და სხვების წყალობით არ მოხერხდა მემლაროთა გაფიცვის დასრულება იმ პირობებში, რომლებიც მისაღები იყო მემლაროებისათვის. როდესაც მემლაროთა, მტვირთავთა და ტრანსპორტთა საერთაშორისო კავშირები ცდილობდნენ თავიანთ გაერთიანებულ მოქმედებით დახმარება გაეწიათ თავის ინგლისელ მოძმეებისათვის,—ამ დროს ბოლშევიკები ფულს უგზავნიდნენ კუკს და მის მეგობრებს, რათა როგორმე გაფიცვა გახანგრძლივებულყო, რასაც თან სდევდა მისი გამარჯვების შანსების შემცირება და იმავე დროს ბოლშევიკებმა ისარგებლეს ინგლისში შექმნილ სათბობ მასალის კრიზისი და თავისი სათბობ მასალის მარაგი აწეულ ფასებში ინგლისელ კაპიტალისტებს მიყიდეს. ბოლშევიკების მუშათა კლასისადმი ამგვარ პროვოკატორულ პოლიტიკას შედეგად ინგლისის მემლაროთა გაფიცვის მძიმე დამარცხება მოყვა. ტრედუნიონები ამ შეტაკებიდან მორალურათ და ორგანიზაციულად დასუსტდნენ. მაგრამ ამ მძიმე ისტორიულ გაკვეთილებს მუშათა მოძრაობისათვის და კერძოდ ინგლისის მუშათა კლასისათვის გამომათხიზლებელი მნიშვნელობა ქონდა. დღეს ევროპასა და ამერიკაში ნათლად იციან, თუ ვისი და როგორ საქმეს აკეთებენ კომუნისტები. ამას ადასტურებს ინგლისის მუშათა პარტიის მარგვიტის ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად დაგმო ინგლისის მუშათა კლასის საქმეებში კომუნისტების ჩარევის ცდები. ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტის დაშლა ერთი ამ ფაქტთაგანია. არა ნაკლებ ენერგიულ ფორმებში ამერიკის შრომის ფედერაციამ დაგმო მუშათა კლასისათვის დამღუპელი კომუნისტური ექსპერიმენტები.

ამას თუ დავუმატებთ, რომ ევროპის მუშათა სინდიკატების საერთაშორისო კავშირებმა არ შეუშვეს თავის წრეში საბჭოთა პრ. კავშირი, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის, რომ ბოლშევიკებს მოელით სრული განმარტოება და გარიყვა.

ბ. კ.